

სამეწარმეო საზოგადოებასა და დირექტორს შორის არსებული
ურთიერთობების სამართლებრივი ბუნება

მარიამ თოფურია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო
(ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შალვა პაპუაშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

როგორც წარდგენილი სამგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ თოფურია

06.07.2015

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, განხილულია დირექტორსა და სამეწარმეო საზოგადოებას შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ბუნება.

მოქმედი კანონმდებლობით, დირექტორი ერთი მხრივ, საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოდ მოიაზრება და ხდება დამსაქმებელი საზოგადოების თანამშრომლების მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, მას თავად აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობა ამ საზოგადოებასთან, რაც განსხვავებულ რეგულირებას საჭიროებს. აღნიშნული ურთიერთობის წარმოშობა ეფუძნება ორ სამართლებრივ დოკუმენტს: დანიშვნის აქტსა და სასამსახურო ხელშეკრულებას.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია სასამსახურო ხელშეკრულების ბუნებაზე, ვინაიდან, ხშირად მისი გაიგივება ხდება სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულებასთან, რაც ბუნდოვანს ხდის დირექტორსა და სამეწარმეო საზოგადოებას შორის სამართლებრივ ურთიერთობას. აღნიშნულთან დაკავშირებით, ქართულ სამეწარმეო კანონმდებლობაში წლების განმავლობაში ხორციელდებოდა გარკვეული ცვლილებები, თუმცა ეს საკითხი მაინც არ არის სრულად მოწესრიგებული და იწვევს გაურკვევლობას.

საკვანძო საკითხები: დირექტორი, სამეწარმეო საზოგადოება, დანიშვნა, გათავისუფლება, ხელშეკრულება, აქტი

Abstract

On the analytical basis of comparison of Georgian legislation and legal practice in Master Work, it is examined the nature of existing legal relation between the director and producing society.

According to the acting legislation, the director, on the one hand, is considered as the head authority of the society and becomes an employer towards the collaborators of the society. On the other hand, he has contract relationship with this society that needs special regulation. Creation of this relationship is based on two legal documents: act of appointment and working contract.

It is paid special attention to the nature of working contract in the work, as its equalization happens with different types of contract that does questionable the relationship between the director and producing society. According to above mentioned, during the years specific changes happened in Georgian producing legislation, although this question is not fully solved and causes incomprehensibility.

General questions: director, producing society, appointment, dismissal, contract, act